არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს

ხელმომწერი ორგანიზაციები შეგახსენებთ ჩვენს წინა წერილს (28.02.2023), რომელშიც გამოვხატეთ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, წერილობითი მოსაზრებების მომზადებისა და კოორდინირებულ ფორმატში წარმოდგენის სურვილი. თუმცა, ამავე წერილში მივუთითეთ, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტების ინიცირების გამო, მზარდი კონტროლის, შევიწროებისა და რეპრესიების უკვე არსებული რუსული გამოცდილების გათვალისწინებით, შეუძლებლად მიგვაჩნდა ამ ორი პროცესის პარალელური თანაარსებობა.

მიუხედავად კანონპროექტების გაწვევისა, გვსურს, კიდევ ერთხელ დავადასტუროთ, რომ უფლებადამცველების მიმართ დამაკნინებელი და სიძულვილის ენის გამოყენება და სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის შევიწროების ნებისმიერი მცდელობა (ხსენებული კანონპროექტების თუ სხვა საკანონმდებლო ან პრაქტიკული გამოვლინების სახით) ძირს უთხრის კონსტიტუციურ პრინციპებს და საფრთხის ქვეშ დგება დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრების იდეა.

2023 წლის 11 აპრილს 140-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა ერთობლივი მიმართვა, რომლითაც ვაცხადებთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის მთავარი მიზანი კანდიდატის სტატუსის მოპოვებისთვის მაქსიმალური ძალისხმევის გაწევა იქნება. ამასთან, მივიჩნევთ, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა ან მოქმედება, რომელიც ევროკავშირის ძირეულ ფასეულობებს დაუპირისპირდება, იქნება სტატუსის მიღების საბოტაჟი და კონსტიტუციის 78-ე მუხლის საწინააღმდეგო ქმედება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმოვადგინოთ იმ ადამიანების ხმა, რომელთა ინტერესებს სხვადასხვა სამართლებრივი გზითა თუ სერვისის მიწოდებით, წლებია ვიცავთ. განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი უფლებრივი ჯგუფი საერთოდ არ არის სტრატეგიაში ნახსენები. ამასთან, გვსურს, დავადასტუროთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჯეროვანი ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია, არსებობდეს რეალური, ხელშესახები შესაძლებლობა, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები გაითვალისწინებენ შემოთავაზებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ექნება ფიქციური ხასიათი და იგი ვერ უზრუნველყოფს იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ინკლუზიური პროცესების არსებობა ემსახურება. ამ მხრივ, გთხოვთ, წერილობით გვაცნობოთ შემდეგი:

1. რა ვადებში იგეგმება ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავება?
2. შეიმუშავა თუ არა სამდივნომ ფორმალური წესი, რომელიც განსაზღვრავს სამოქმედო გეგმის შემუშავების ორგანიზებას და ვადებს? როდის იგეგმება სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან?
3. რომელი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით გეგმავთ სამოქმედო გეგმის შემუშავებას? გათვალისწინებულია თუ არა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის ფორმატი? აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ჩვენი საქმიანობის ეფექტიანად დასაგეგმად, მათ შორის, მოსაზრებების წარმოდგენის თვალსაზრისით.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)
2. ა/ო "ვიმეგობროთ";
3. მოძრაობა "ინკლუზიური საზოგადოება - საქართველო"
4. უფლებები საქართველო
5. საფარი
6. ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) - საქართველო
7. თანასწორობის მოძრაობა
8. ღია სივრვე კავკასია (COS)
9. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)
10. კანონის უზენაესობის ცენტრი (RLC)
11. ასოციაცია ,,დეა"
12. "თბილისი პრაიდი"
13. ქვიარ ასოციაცია - თემიდა
14. ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)
15. „ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ" - FAD
16. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)